

საბანკო ლოგისტიკა მომსახურების სფეროში: პრობლემები და განვითარების პერსპექტივები

გიორგი ცაავა
სტუდ-ს პროფესორი

რეზიუმე

ნაშრომში განხილულია საბანკო საქმიანობა როგორც მენარმეობის ყველაზე რთული სახეობა მის პრობლემებთან და განვითარების პერსპექტივებთან. საბანკო სტრუქტურების საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლების ერთ-ერთ საკვანძო ინსტრუმენტად, ავტორის მოსაზრებით, მონოდეზიგნა გახდეს ბანკში ლოგისტიკური ნაკადის პროცესების გაზრდა - საბანკო პროდუქტი (მომსახურება) - ურთიერთქმედების სუბიექტების სისტემაში.

საკვანძო სიტყვები: საბანკო ლოგისტიკა, საბანკო პროდუქტი (მომსახურება), ნაკადური პროცესები, საფინანსო-საკრედიტო ინფრასტრუქტურა.

BANKING LOGISTICS BY FINANCIAL FLOWS: PROBLEMS AND PROSPECTS OF DEVELOPMENT

Giorgi Tsaava
Professor of GTU

SUMMARY

The article examines banking as the most complex form of business with its problems and prospects of development. One of the key tools for increasing the efficiency of the Banking institutions, according to the author, is to increase logistic stream processes in the bank – a bank product (service) – the parties interaction.

Keywords: banking Logistics, Banking Product (Service), Stream Processes, Financial And Credit Infrastructure.

* * * *

თანამედროვე საბაზრო ეკონომიკა შეუძლებელია წარმოდგენილი იქნას მისი ადკვატური საფინანსო-საკრედიტო ინფრასტრუქტურის გარეშე. ფინანსური ნაკადების მართვა სხვადასხვა დონეებზე და ყველაზე განსხვავებული ეკონომიკური ინსტრუმენტებით ხორციელდება. ცენტრალური ადგილი საფინანსო-საკრედიტო დაწესებულებების სისტემაში უკავიათ ბანკებს. საბანკო საქმიანობა მრავალრიცხოვანი ეკონომიკური რისკების ზემოქმედების ქვეშაა და სწორედ ამიტომ ყველაზე უფრო რთულს წარმოადგენს მენარმეობის სახეობის რეგულირების თვალსაზრისით. საბანკო მომსახურებების ბაზრის განვითარების თავისებურებას წარმოადგენს შესაბამისი საკრედიტო ინსტიტუტების გამწვავებული კონკურენცია, მოსახლეობის ნდობის შემცირება მთლი-

ანი სისტემისადმი მიმართებაში და, როგორც შედეგი, რიგი საბანკო სტრუქტურების ლიკვიდაცია. ასეთი სახის ამოცანების გადაწყვეტის მნიშვნელოვან ინსტრუმენტად მონოდეზიგნა გახდეს საბანკო საქმიანობის ლოგისტიკა, რომლის საუძველში ბანკების მიერ მატერიალური სფეროს სუბიექტებთან მათი ურთიერთქმედების პროცესში წამოქმნადი სხვადასხვა სახეობის ეკონომიკური ნაკადების მეცნიერული მეთოდების დანერგვის გზით, მისი ეფექტიანობის ამაღლების მძლავრი პოტენციალი არის ჩადებული.

სამამულო ბანკები თითქმის სულ ბოლო დრომდე პრაქტიკულად არ იყენებდნენ ლოგისტიკის ინსტრუმენტარებს თავიანთი ნაკადური პროცესების რეგულირებისათვის, მათ შორის საჭირო სამეცნიერო-პრაქტიკული შემუშავებების არ ქონის გამო. საქართველოს ეკონომიკის საფინანსო-საკრედიტო სფეროში ლოგისტიკის უნივერსალური კონცეფციის გამოყენების სპეციფიკის არასაკმარისი დამუშავებადობა შერჩეული საგნის აქტუალურობას განსაზღვრავს.

სახელმძღვანელოს კვლევის მიზანს ლოგისტიკის პრინციპების გამოყენებით საბანკო სფეროს საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლების მიმართულებით თეორიულ-მეთოდოლოგიური მიდგომების საფუძველზე შემუშავება წარმოადგენს.

დასახული მიზნების მიღწევისათვის აუცილებელ პირობად გვესახება რიგი ამოცანების გადაწყვეტა, რომელთა შორისაა: საბანკო საქმიანობის გაანალიზება, საბანკო საქმიანობაში ლოგისტიკის როლის განსაზღვრა, ფინანსურ სფეროში ინოვაციური ეკონომიკური ინსტრუმენტების გამოყენების უცხოური გამოცდილების განხილვა, ეკონომიკის საბანკო სექტორში ლოგისტიკის ეფექტიანი გამოყენების მიმართულებების ჩამოყალიბება.

კვლევის საგნობრივ-ობიექტურ სფეროს - საბანკო საქმიანობაში მონაწილეების ლოგისტიკური აქტიურობების ოპტიმიზაციის ორგანიზაციულ-ეკონომიკური ურთიერთობები წარმოადგენს.

უნდა ითქვას, რომ ლოგისტიკა - ბიზნესის მრავალი ორგანიზაციებისათვის კონკურენტულ ბრძოლაში ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სტრატეგიულ ინსტრუმენტს წარმოადგენს. დიდ ინტერესს იძენს ეკონომიკური ლოგისტიკა, რომლის ქვეშ წარმოებისა და მიმოქცევის სფეროში მატერიალური და მასთან დაკავშირებული ინფორმაციული და ფინანსური ნაკადების ეფექტური მართვის მომცველი მეურნეობრიობის მეცნიერულ-პრაქტიკული მიმართულება გაიგება. მიკროდონეზე ლოგისტიკა მიიღება როგორც მომარა-

გების, შენახვისა და გასაღების ერთიანობაში მომცველი მატერიალური ნაკადების მართვის მეთოდი. ლოგისტიკის მთავარ მისიად ითვლება ცვალებადი საბაზრო გარემოებისადმი უმცირესი დანახარჯებით ბიზნესის სუბიექტების მაღალი შეთანხმების მიღწევა, ბაზარზე თავისი წილის ამღებება და კონკურენტების წინაშე უპირატესობების მიღება.

რიგი ავტორების მოსაზრების მიხედვით, საბანკო ლოგისტიკა თავისთავად ბანკის სტრატეგიული და ტაქტიკური მიზნების შესაბამისი და მეურნე სუბიექტებთან მისი ურთიერთკავშირის ძირითადი და დამხმარე საქმიანობის პროცესში მატერიალური, ინფორმაციული და ფინანსური ნაკადების დაგეგმვის, კონტროლისა და მართვის შესახებ მეცნიერებას წარმოადგენს; ამასთან ლოგისტიკის და მისი პრინციპების თანამედროვე გაება როგორც მართვის კონცეფცია სამენარმეო საქმიანობის ახალ და ცვალებად პირობებს პასუხობს.

ზოგიერთი ავტორების მოსაზრებით საბანკო ლოგისტიკა - არის ღონისძიებების მთლიანი კომპლექსი: საბანკო სისტემის საინვესტიციო და საკრედიტო პროგრამებით მომარაგება, ბანკის საფონდო საქმიანობა.

ცალკეული ავტორები განიხილავენ საბანკო ლოგისტიკას როგორც კლიენტის ფულადი ნაკადების მოძრაობის ოპტიმიზაციის პროცესს მათი ეფექტიანად გამოყენების მიზნით, მისი (კლიენტის) მოთხოვნილებებიდან გამომდინარე სპეციალური შიდასაბანკო ორგანიზაციულ-ფუნქციონალური ინფრასტრუქტურის აგების გზით.

ლოგისტიკური კონცეფციები ბანკის ყველა ოპერაციებში მონაწილეობენ. წამყვანი ამერიკული, ევროპული და იაპონური გამოცდილების გათვალისწინებით ბანკების საქმიანობის ჩატარებული სხვადასხვა მიმართულებები იძლევიან საფუძველს დავადასტუროთ, რომ ისინი შეიძლება პირობითად იქნან დიფერენცირებული

- 1) კომერციული ბანკის პასიურ ოპერაციებად;
- 2) კომერციული ბანკის აქტიურ ოპერაციებად;
- 3) კომერციული ბანკის საკომისიო ოპერაციებად.

პასიური ოპერაციების ქვეშ - გაიგება ბანკის ისეთი ოპერაციები, რომელთა შდეგად ბანკების რესურსების ფორმირება ხორციელდება. მათი არსი მდგომარეობს - სხვადასხვა სახეობის ანაბრების მოზიდვაში, სხვა ბანკებიდან კრედიტების მიღებაში, საკუთარი ფასიანი ქაღალდების ემისიაში, ასევე სხვა ოპერაციების ჩატარებაში, რომელთა შედეგად საბანკო რესურსები გაიზრდებიან.

აქტიური ოპერაციების სახით - ბანკის მობილიზებული ფულადი სახსრები გამოიყენებიან - კლიენტურის დაკრედიტებისათვის და თავისი სამენარმეო საქმიანობის განხორციელებისათვის. აქტიური ოპერაციები - მიმართულია შექმნილი ფულადი ფონდების გამოყენებაზე მოგების მოზიდვის მიზნით. ისინი

დაიყოფიან საკრედიტოებად და საინვესტიციოებად.

საკომისიო ოპერაციები - შესრულება ბანკების მიერ კლიენტების დავალების მიხედვით გარკვეული საფასურის (საკომისიოსი) გადახდით. ასეთ ოპერაციებს მიეკუთვნებიან - ანგარიშსწორებები, გარანტიები, სავაჭრო გარიგებები, ოპერაციები ვალუტასთან. თამასუქებისა და ჩეკების ინკასირება, ფასიანი ქაღალდების შენახვაზე მიღება. საშუამავლო ოპერაციებმა, საკრედიტოებთან მჭიდროდ გადაჯაჭვულობით, წარმოშვეს საბანკო მომსახურების ისეთი კომპლექსური ფორმა, როგორიცაა ფაქტორინგი. ფაქტორინგი - არის უფლების გადაყიდვა ვალების ამოღებასთან მიმართებაში; კომერციული ოპერაციები მინდობილობის მიხედვით; მომსახურება დაკავშირებული ფულის მიღებასთან კრედიტში გაყიდვაზე.

ზემოთაღნიშნულების რეზიუმირებით, შეიძლება დავადასტუროთ, რომ ნებისმიერი კომერციული ბანკის ქმედების მთლიანი ერთობლიობა აქტიური და პასიური ოპერაციების განხორციელებასთან მიმართებაში შეიძლება განხილული იქნას როგორც ლოგისტიკური ღონისძიებების ერთობლიობა ფულადი ნაკადების რეგულირების მიმართებაში, რომელთა ძირითადი მიზანი მდგომარეობს - სასესხო კაპიტალის ეფექტიანად გამოყენების მიღწევაში, თვით ბანკის და მისი კლიენტის კომერციული ინტერესების რეალიზაციაში.

თანამედროვე კომერციულ ბანკში ფინანსური ანალიზი თავისთავად წარმოადგენს არა უბრალოდ ფინანსური მართვის ელემენტს, არამედ მის საფუძველს. ფინანსური მართვა უაზროა ანალიზის გარეშე - იქნება იგი საკრედიტო ოპერაციების ტრადიციული შესრულება; გადახდების, ანგარიშსწორებების და ფულის შენახვის ან შედარებით საქმიანობი ახალი სახეობების შესრულება, მაგალითად, დაზღვევა, ლიზინგი, სატრასტო და საბროკერო მომსახურებები, სხვა ოპერაციები.

ფინანსური ანალიზის მნიშვნელოვან თავისებურებას წარმოადგენს ბანკებში ის, რომ ამ უკანასკნელების საქმიანობა მეტი ხარისხით, ვიდრე სხვა ეკონომიკური სუბიექტების, დაკავშირებულია პროცესებთან და მოვლენებთან, რომლებიც მიმდინარეობენ იმ გარემოში, რომელშიც ისინი ფუნქციონირებენ. ამიტომ ფინანსური ანალიზის ჩატარებას ბანკში წინ უნდა უსწრებდეს მისი გარემომცველების, საქმიანი და ეკონომიკური გარემოს ფინანსურ-პოლიტიკური ანალიზი. ამასთან საჭიროა გათვალისწინებული იქნას ტენდენციებიც, რომლებიც მსოფლიო ეკონომიკისათვის მთლიანობაში არის დამახასიათებელი, და არა მარტო საკუთარი სახელმწიფოს განვითარების დონე.

ბანკის საქმიანი და საფინანსო-პოლიტიკური გარემოს ანალიზის არსი მდგომარეობს - საბანკო სექტორში ინვესტიციების დაგეგმილი შემოსულო-

ბეზის დნის შესწავლაში და შეფასებაში, ბანკის რეფინანსირების არსებული ინსტრუმენტებისადმი მიღწევადობის შეფასებაში, ფულად-საკრედიტო სფეროს მდგომარეობის ინდიკატორების ანალიზში.

უცხოური გამოცდილების გამოყენება ხელს უწყობს - საბანკო მომსახურებების სამამულო ბაზრის წარმატებულ განვითარებაში, „ზრდის შეცდომების“ გამეორების აღმოფხვრაში, საქართველოში ახალი საბანკო პროდუქტების შექმნაში საბანკო საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით, უცხოური ბანკების საბანკო მომსახურების სამამულო ბაზრებზე მზარდი კონკურენციის დაპირისპირებაში.

სამეცნიერო ლიტერატურაში აღინიშნება საბანკო მომსახურებების საქართველოს ბანკის განვითარების შემდეგი ტენდენციები:

1) მსხვილი ბანკების ორიენტირება ექსპორტიორების საკრედიტო-საანგარიშსწორებო მომსახურების პროცესში სტრატეგიულ დარგებზე, როგორცაა: სანავთობო, გაზის, ლითონისა და ტყის წარმოება და გადამამუშავება, ქიმიური სასუქები; საბანკო მომსახურებების განვითარება საექსპორტო მონოდებების 6 თვემდე ვადით დაკრედიტებისას და უცხოელი კონტრაგენტებისაგან საექსპორტო ამონაგების ხარჯზე კრედიტის დაფარვით. იმპორტიორებზე მომსახურებების განევა ნაკლებად მიმზიდველი ხდება ლარის შემდგომი საფეხურებიანი დეველვაციის რისკის და საიმპორტო საქონელზე გადახდისუნარიანი მოთხოვნის შემცირების, გადახდებისა და საკონსულტაციო მომსახურებების შეზღუდვის გამო;

2) საქართველოს ბანკების მომსახურებების განვითარება უცხოური ქვეყნების საექსპორტო საკრედიტო აგენტებთან მუშაობისას. ჯერ კიდევ არც ისე წარსულში მიღწევად ითვლებოდა რესურსების მოზიდვის მიზნით რიგი ქართული ბანკების მიერ საკრედიტო ხაზების გახსნა 3 – 4 წლის ვადით უცხოეთის ქვეყნებთან. მაგრამ არ უნდა ვიფიქროთ, რომ ბანკებისათვის შემოსავლების მიღების ერთადერთ წყაროს წარმოადგენს ფულის ზრდაში მინიდება - ფინანსური დანესებულებების შემოსავლიანობის ამაღლებისათვის მნიშვნელოვან როლს ასრულებს ბანკების საინვესტიციო საქმიანობა.

ინვესტიციების ქვეშ - გაიგება სახსრების გრძელვადიანი დაბანდება მრეწველობაში, სიფლის მეურნეობაში და ეკონომიკის სხვა დარგებში ქვეყნის შიგნით და უცხოეთშიც მოგების მიღების მიზნით.

ბანკების საინვესტიციო საქმიანობის, როგორც სხვა ინვესტიორებისათვისაც, არსებობს შემდეგი ძირითადი სახეობები:

- პირდაპირი ინვესტირება;
- პორტფელური ინვესტირება;
- სასესხო ინვესტირება;
- სავალუტო ინვესტირება.

ბანკების საინვესტიციო საქმიანობა პირდაპირი

ინვესტირების სახით თავისთავად წარმოადგენს ნებისმიერი კომპანიის რეალური საწარმოო აქტივების შეძენა მათზე კონტროლის მიღებისათვის.

ბანკების საინვესტიციო საქმიანობა პორტფელური ინვესტირების სახით თავისთავად სხვადასხვა კომპანიების აქციების შეძენას და საინვესტიციო პორტფელის ფორმირება წარმოადგენს. დივესიფიცირებული პორტფელური ინვესტიციები შეიძლება იქნას შეზღუდული აქციების როგორისაც ნაწილის შეძენით, ასევე შეიძლება მუდმივი შემოსავლის მომტანი სტაბილურად მზარდი კომპანიის აქციების საკონტროლო პაკეტის შეძენისაკენ მიგვიყვანოს.

ბანკების საინვესტიციო საქმიანობა სასესხო ინვესტირების სახით ითვალისწინებს ბანკების ძირითად საქმიანობას, ანუ კომპანიებზე და კერძო პირებზე სხვადასხვა კრედიტების, სესხების და ნასესხებების მიწოდება.

ბანკების საინვესტიციო საქმიანობა სავალუტო ინვესტირების სახით თავისთავად სავალუტო ოპერაციების განხორციელებას წარმოადგენს საინვესტიციო საქმიანობის პირველი სამი ფორმით განხორციელებასთან დაკავსირებით.

საბანკო სფეროში კომპიუტერული ტექნოლოგიები გამოყენება ყველაზე ეფექტიანია. თანამედროვე დროში ჩამოყალიბდა საბანკო ელექტრონული მომსახურებების შემდეგი სახის სამდონიან სისტემა:

- „საცალო“ საბანკო ელექტრონული მომსახურებები;
- საბითუმო საბანკო ელექტრონული მომსახურებები;
- ავტომატური საანგარიშსწორებო პალატები.

უდიდესი როლი საბანკო საქმიანობის მართვის სრულყოფაში მიკუთვნებული აქვს ბანკის ავტომატიზაციის სისტემას. ავტომატიზაციას აქვს დიდი მნიშვნელობა საბანკო საქმიანობის შემდეგი სახეობებისათვის:

- ახალი საბანკო პროდუქტებისა და მომსახურებების (საბანკო ბრათები, ბანკომატები, სისტემენო „ბანკი-კლიენტი“ და სხვა) შემუშავება და დანერგვა;
- საბანკო ტექნოლოგიების შექმნა ოპერაციების შესრულებისათვის (კავშირგაბმულობის, პროგრამული უზრუნველყოფის და სხვასისტემები);
- საბანკო პროდუქტებისა და მომსახურებების ხარისხის ამარლება;
- შრომის მწარმოებლობის ამაღლება: დანახარჯების დადაბლება საბანკო პროდუქტებისა და მომსახურებების ერთეულზე, დანახარჯების შემცირება ერთ საბანკო მოსამსახურეზე.

ბიზნეს-პროცესების უმეტესობა ბანკებში - არის პროცესები, რომლებიც ინფორმაციებისა და ავტომატიზაციის აქტიურად გამოყენებადი საშუალებების დამუშავებასთან არიან დაკავშირებული. აუტოსოსრსინგული მომსახურებების ერთობლივი მო-

ცულობა საბანკო ოპერაციების სეგმენტში იზრდება დღითიდღე.

აუტსორსინგი - არის არაფორმალური პროცესების სპეციალიზირებულ ორგანიზაციებში გადაცემა და თვით სპეციალიზაცია ვონრო-პროფილური მიმართულებების მიხედვით.

პროცესების და IT ფუნქციების გამოყოფა აუტსორსინგზე უნდა იყოს მოტივირებული არა მარტო ეკონომიით, არამედ მისწრაფებითაც - მიღწევადობა იქნას მიღებული წარმატებული ტექნოლოგიებისა და გამოცდილებისადმი, ამაღლებული იქნას მომსახურეობების ხარისხი და ბანკის ქვედანაყოფების ურთიერთქმედებების ეფექტიანობისადმი IT-ი მეშვეობით, მონვეული იქნას ბაზრის საუკეთესო კადრები, შეტანილი იქნას ინოვაციური ელემენტები ძირითადი ნაკადების განვითარების პროცესში.

თანამედროვე დროში IT-აუტსორსინგი წარმოადგენს ყველაზე მსხვილ და სწრაფად მზარდ სეგმენტს IT-მომსახურეობების მსოფლიო ბაზრის. საქართველოში მოთხოვნა IT-აუტსორსინგზე ჯერ-ჯერობით IT-მომსახურეობების საერთო მოცულობაში არც ისე დიდია. აუტსორსინგისათვის ნორმატიული ბაზის არასაკმარისად დამუშავებადობა წარმოადგენს საქართველოში მისი განვითარების შემაკავებელ ერთერთ არსებით ფაქტორს.

პროცესინგული ცენტრი - უზრუნველყოფს ავტომატიზაციაზე და/ან ტრანზაქციის ოქმებზე მოთხოვნების დამუშავებას, რომლებიც აფიქსირებენ მონაცემებს ბარათების მეშვეობით განხორციელებული გადახდების შესახებ და ეკვაირებისაგან (ან უშუალოდ მომსახურების წერტილებიდან) შემომავალი ნაღდი ფულის გაცემას.

პროცესინგული ცენტრი - არის ელექტრონული კომერციის (e-Commerce) სფეროში საბანკო ბარათების მიხედვით გადახდების დამუშავების მაღალტექნოლოგიური ავტომატიზირებული სისტემა. ძირითადი ამოცანა პროცესინგული ცენტრის - არის ინტერნეტ-მაღაზიებზე საბანკო ბარათების მიხედვით გადახდების მიღების შესაძლებლობის მიკუთვნება. გარდა ამისა პროცესინგული ცენტრი აკოორდინირებს ანგარიშსწორებებს ბანკი-ბარათების ემიტენტს, ბანკი-ეკვაირს (ტრანზაქციის ავტომატიზაციის განხორციელებელი), სავაჭრო წერტილსა და საბანკო ბარათების მფლობელს შორის.

პლასტიკური ბარათი - არის საბანკო მომსახურეობებისადმი დისტანციური მიღწევადობის ყველაზე იაფი და მასიური საშუალება, და ძნელია მოიძებნოს ბანკი, რომელიც სხვადასხვა კლიენტებთან მუშაობაში საბანკო ბარათების გამოყენების გარეშე საქმიანობს.

გარე ბანკების ბარათებთან მიშაობისათვის ახალი ფუნქციონალური შესაძლებლობის შემუშავებისას განსაკუთრებული ყურადღება იქნა დათმობილი გადანყვეტილების უსაფრთხოებაზე, რომლის უზრუნ-

ველყოფა ხორციელდება შემდეგი შესაძლებლობებით და შეზღუდვებით:

- ბარათებთან საგადახდო ოპერაციების შესრულებისათვის არ მოითხოვება PIN-ოდის შეყვანა;

- სხვადასხვა ვალუტებისათვის და კლიენტების ჯგუფებისათვის შეიძლება დაწესებული იქნას გადახდების ლიმიტი - ერთ დღეში, ერთ ოპერაციაზე, თვეზე და ჩატარებული ოპერაციის თანხაზე;

- ლიმიტები შეიძლება მითითებული იქნას ცალკე ანგარიშიდან ან მიმდინაე ბანკის საბარათე ანგარიშიდან ჩამოწერაზე და ცალკე სხვა ბანკის ბარათიდან ჩამოწერისათვის; ასეთი სახით შეიძლება ეზღუდული იქნას საგადახდო ოპერაციების სიდიდე გარე ბანკების ბარათებიდან, ამათან მიმდინარე ბანკის ანგარიშებისათვის და ბარათების დადგენილი ლიმიტების ხელშეუხლებად;

- სხვა ბანკის ბარათის დამოუკიდებელი მიერთებისათვის კლიენტმა უნდა შექმნას განაცხადი ბარათის მიერთებაზე და დაადასტუროს განაცხადი ერთ-ერთი ზემოთ ჩამოთვლილი ხელმოწერის ანალოგიტ ან უშუალოდ ბანკის გამოყოფილებაში მიმართოს და წარადგინოს საბანკო ბარათი და პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი.

რისკების მართვა - ნებისმიერი ბანკის სტრატეგიის მნიშვნელოვანი და განუყოფელი ნაწილია. საბანკო რისკების მართვის პროცესში ცენტრალურ მომენტს წარმოადგენს პასუხისმგებლობის ცენტრების გამოყოფა, თითოეული რომელთაგან ასეურულებს გარკვეულ როლს მოცემულ პროცესში. ჩვენი მოსაზრებით, მიზანშეწონილია გამოყოფილი იქნას პასუხისმგებლობის ცენტრების შემდეგი სამი ტიპი: კოლეგიალური ორგანოები, რისკ-მენეჯმენტის სამმართველო, სტრუქტურული ქვედანაყოფები. მათი საქმიანობა განხილული გვაქვს ნახაზი 6.1-ზე შემდეგ ასპექტებში: მართვის პროცესში მონაწილეობა, ნორმატიული ბაზის ფორმირება, მმართველობითი გადანყვეტილებების დონე.

მრავალი ბანკისათვის ინტერნეტ-ბანკინგის სისტემა - არის რეალური ინსტრუმენტი კლიენტების მომსახურებაზე დანახარჯების შემცირებისა და მაღილოიალურიბის ამაღლების საშუალება. აღნიშნული მომსახურეობის მოხერხებულობა, საიმედობა და მიღწევადობა წარმოადგენს ბანკის კლიენტებისათვის მნიშვნელოვან ფაქტორს. აღნიშნულ პირობებში სისტემის დაცვა - სერიოზული ბიზნეს-ამოცანაა.

ტიპიური პრობლემა გადახდისას ინტერნეტის ქსელში - არის მონაცემების ხელში ჩაგდების მცდელობა ტრანზაქციის განხორციელებისას ან ინფორმაციის მოპარვა მონაცემების არსებული ბაზიდან. რამდენადაც პროცესინგული ცენტრების გატეხვა საკმაოდ რთულია, ხოლო მრავალი ინტერნეტ-მარაზიები უკვე არ იყენებენ გადახდების დამუშავების თავიანტ ლოკალურ სისტემებს (სწორედ ისინი ძირითადად ხდებიან ხაკერების მსხვერპლები), ამდე-

	მართვის ეტაპები:	პასუხისმ- გებლობის ცენტრები:	ნორმა- ტიული ბაზა:	მმართვე- ლობითი გადაწყვეტ- ილებები:
	იდენტი- ფიკაცია, კონტროლი	სამმარ- თველო	ბანკის პოლიტიკის და დებულების დამტკიცება	სტრატეგ- იული სამმარ- თველო
	იდენტი- ფიკაცია, კონტროლი	კომიტე- ტები	მეთოდის და ტექნო- ლოგიის დამტკიცება	სტრატეგ- იული და ტექნიკური სამმარ- თველო
კონტ- როლი	გადაწყვე- ტილების არჩევა, შეფასება, იდენტიფიკაცია	პირველი დონე	ნორმატიული ბაზის შემუშავება, ანგარიშების სისტემის შექმნა, ანგარიშების ფორმირება	ტექნიკური და ოპერატიული სამმართველო
კონტ- როლი	იდენტიფიკაცია	მეორე დონე	ნორმატიული ბაზის შემუშავება, ანგარიშების ფორმირება	ოპერატიული სამმართველო
		სტრუქტურული ქვედანაყოფები		
		მესამე დონე		

ნად ინტერნეტ-თაღლითებს რჩებათ არც ისე ბევრი ვარიანტები ბარათების მფლობელების მონაცემების მოპარვისათვის. თაღლითობის ყველაზე უფრო გავრცელებულ ვარიანტს რომელსაც ეჯახება მომხმარებელი, - არის მისი ფიზიკური გვერდზე გადამისამართების მცდელობა გადახდის განხორციელებისათვის (გაყალბებული საიტი, შექმნილი როგორც ლეგიტიმური კოპიო და რომელიც მთლიანად თაღლითების კონტროლის ქვეშ იმყოფება). ისინი შეითყუებენ იქ მომხმარებლებს, ვირუსების გამოყენებით, ასევე სოციალური ქსელების მეშვეობით. ასეთი გვერდი ამათან გამოიყურებოდეს იქნება თიტქმის როგორც ნამდვილი, საგადახდო სისტემიდან ან ინტერნეტ-მაღაზიდან განსაკუთრებული განსხვავებების გარეშე.

მსოფლიო პრაქტიკაში საკრედიტო-საბანკო

სისტემის ჩამოყალიბების ორი ძირითადი მოდელი არის ცნობილი: **სეგმენტირებული (ამერიკული) და უნივერსალური (გერმანული)**. მოცემული მოდელების ძირითადი განსხვავებები - საკრედიტო ინსტიტუტების უნივერსალიზაციისა და სპეციალიზაციის ხარისხში, რეალური სექტორის ფორმირების ფორმებში და წყაროებში, ბანკებისა და სანარმოების საინვესტიციო პორტფელების დივერსიფიკაციის დონეებში მდგომარეობს.

მაგალითად, **ამერიკულ მოდელში რისკები** - მაქსიმალური ხარისხით დაყოფილია - კომერციულებად და ინვესტიციურებად და დივერსიფიცირებულები არიან დაზღვევის რიგი დონეების მეშვეობით; სანარმოს დაფინანსების სისტემა ფასიანი ქაღალდების გამოშვების და საფონდო ბაზრის მექანიზმის, დაკრე-

დიტება სპეციალიზირებული საინვესტიციო საბანკო და არასაბანკო ინსტიტუტების მეშვეობით. **გერმანულ მოდელში რისკების** - კონტროლის უზრუნველყოფა ხორციელდება უნივერსალური კომერციული ბანკების მიერ, რომლებიც ერთდროულად რეალური სექტორის კრედიტორებს და ფინანსური ბაზრის მთავარ სუბიექტებს წარმოადგენენ.

როგორც მსოფლიო გამოცდილება მოწმობს, **გირაო** - საკრედიტო ვალდებულებების უზრუნველყოფის ერთ-ერთ ყველაზე უფრო საიმედო ხერხს წარმოადგენს. გირაოს საგნად შეიძლება გამოყენებული იქნას საკუთრების უფლებით გირაოსმფლობელობაში არსებული ნებისმიერი ქონება: სახლები, ნაგებობები, მიწის ნაკვეთები, საავტომობილო საშუალებები, ასევე ფასიანი ქაღალდები, დეპოზიტები ბანკში; მისი განსაკუთრებული სახეობაა - საქონელის გირაო ბრუნვაში და გადამუშავებაში, ასევე ქონებრივი უფლებების გირაოც არის შესაძლებელი.

მსოფლიო პრაქტიკაში ფასიანი ქაღალდების გირაოს ქვეშ საბანკო კრედიტის ერთ-ერთ გავრცელებული ფორმას წარმოადგენს ლომბარდული კრესიტი, ანუ კრედიტი მყარ ფიქსირებულ თანხაში, რომელიც მიენიჭება ბანკი-კრედიტორის მიერ ქონების გირაოს ან ქონებრივი უფლების ქვეშ. ფართედ გამოიყენება ლომბარდული კრედიტი ფასიანი ქაღალდების გირაოს ქვეშ; მასში საჭიროება წარმოიქმნება საკრედიტო რესურსებში მოთხოვნილებისას და მსესხებელის მიერ მის საკუთრებაში არსებული ფასიანი ქაღალდების გაყიდვის სურვილის არ ქონის შედეგად.

XXI საუკუნეში საქართველოს ეკონომიკამ აუცილებლად უნდა დაძლიოს 1990-იანი წლებიდან ჩამოყალიბებული ეკონომიკური კრიზისი, ასევე 2008 – 2010 წლებიდან მძვინვარე მსოფლიო ფინანსური კრიზისი. სავალდებულო პირობას კრიზისიდან გამოსვლისა - სახალხო-მეურნეობრივი კომპლექსის რესტრუქტურისა წარმოადგენს. **დასახული ამოცანების გადაწყვეტის მნიშვნელოვან ინსტრუმენტად მონო-დებულია გახდეს - ყველა პროცესების ლოგისტიკა**, რომელთა საფუძველში ჩადებულია ეფექტიანობის ამაღლების პოტენციალი სხვადასხვა სახეობის ნაკადების (მატერიალურები, ფინანსურები, ინფორმაციულები) რეგულირების მეცნიერული მეთოდების დანერგვის გზით.

ზემოთაღნიშნულების გათვალისწინებით შემდეგი სახის მოკლე დასკვნის გაკეთება არის შესაძლებელი:

1. მითითებულია, რომ ეკონომიკური ნაკადების ლოგისტიკა - ორგანიზაციულ-ტექნიკური და ეკონომიკურ-სამართლებრივი რთული და კომპლექსური პროცესია. ნებისმიერი კომერციული ბანკის ქმედების ერთობლიობა აქტიური და პასიური ოპერაციების განხორციელებასთან დაკავშირებით შეიძლება განხილული იქნას როგორც ლოგისტიკური ღონისძიებების ერთობლიობა ფულადი ნაკადების

რეგულირებასთან მიმართებაში, რომელთა ძირითადი მიზანი მდგომარეობს კაპიტალის ეფექტიანად გამოყენების მიღწევაში, თვით ბანკის, მისი კლიენტების კომერციული ინტერესების რეალიზაციაში, სახელმწიფოსი და საზოგადოების ინტერესების სავალდებულო დაცვაში.

2. განხილულია საბანკო ლოგისტიკის თეორიული საფუძვლები, ჩამოყალიბებულია საბანკო ლოგისტიკის დეფინიცია, გამოვლენილია ლოგისტიკური კონცეფციები ბანკის ოპერაციებში, რაც საბოლოო ჯამში საბანკო საქმიანობაში ლოგისტიკის გამოყენების არსისა და მიმართულებების გაგების შესაძლებლობას იძლევა; ჩამოყალიბებულია ეკონომიკის საბანკო სექტორში ლოგისტიკის ეფექტიანად გამოყენების მიმართულებები, რომლის საფუძველში შეთავაზებულია ლოგისტიკის ზეგავლენა დანახარჯების შემცირებაზე და საბანკო საქმიანობის კაპიტალის ეფექტიანად გამოყენებაზე; ჩატარებულია საბანკო საქმიანობის სუბიექტების ანალიზი, რომლის დამახასიათებელ ნიშან-თვისებად კმერციული ბანკის აქტიური და პასიური ოპერაციები გამოდიან. ასევე განსაზღვრული იქნა ლოგისტიკის როლი საბანკო საქმიანობაში როგორც საინვესტიციო ინსტრუმენტი, რომელიც საბანკო საქმიანობაში მატერიალური და ფინანსური ნაკადების ოპტიმიზირებას ახორციელებს, და განხილული უცხოური გამოცდილება ფინანსურ სფეროში ინოვაციური ეკონომიკური ინსტრუმენტების გამოყენებით, რაც აღნიშნული გამოცდილების ეროვნულ ბაზარზე გამოყენების შესაძლებლობას იძლევა.

3. შეთავაზებულია, რომ ლოგისტიკის პრინციპები საბანკო სფეროში, როგორც ეკონომიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი რგოლი, დანახარჯების შემცირებისას საკვანძო ელემენტს წარმოადგენენ. საბანკო ლოგისტიკის მდგომარეობიდან არსებითი სახით არის დამოკიდებული საბანკო საქმიანობის დაცულობა და მდგრადობა. საბანკო ლოგისტიკის უწყვეტად და ეფექტიანად ფუნქციონირება მთლიანობაში პირდაპირ არის დამოკიდებული ქვეყნის საბანკო სისტემის მდგომარეობისაგან, მისი მდგრადობისა და საიმედოობისაგან. ასეთი სისტემის გარეშე შეუძლებელია წარმატებულად განხორციელებული იქნას ბანკის ეკონომიკური საქმიანობა, იმართოს რისკები, საინვესტიციო საქმიანობა და ბევრი სხვა რამ იქნას რეალიზებული.

გამოყენებული ლიტერატურა:

- 1. ჩხაიძე ზ.** - საბანკო ბიზნეს-ლოგისტიკა (თეორია, მეთოდები და პრაქტიკა), სახელმძღვანელო. - თბილისი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2011. - 165 გვ.
- 2. ვეშაძე შ., ოსაძე ლ., სენიაშვილი დ.** - ლოგისტიკა, სახელმძღვანელო. - თბილისი, 2012. - 148 გვ.